საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აკანათი

აკანათი, კაკანათი (ფშაური „სასხიპურა“, ხევსურული „საჩიტურა“, თუშური „სასხლეტი“, „ბალუ“, სვანური „ნეჯიდ“, „ღერენჯიკა“), ძუის მახე ფრინველთა დასაჭერად.

მაგრად დაჭიმულ ღვედზე დამაგრებულია სასხლეტიანი რკალი, რ-ზეც ჩიტის მისატყუებლად სიმინდის ან პურეულის მარცვალი ჰკიდია. როგორც კი ჩიტი მარცვლის კენკვას დაიწყებს, სასხლეტი დასხლტება, რკალი ჩამოვარდება და ჩიტს დაიჭერს. არის სხვაგვარი ა-იც; ცხრილს ან ვარცლს წამოაპირქვავებენ და ჯოხზე ისე დააყუდებენ, რომ ჩიტს შიგ შესვლა შეეძლოს. ცხრილქვეშ საკენკი ყრია. შევა თუ არა ჩიტი საკენკის ასაკენკად, დამალული მონადირე ა-ის ჯოხზე გამობმულ ძუას ან ძალს გამოსწევს, ჯოხი გამოეცლება, ა. დაემხობა და ჩიტი შიგ მოემწყვდევა.

ლიტ.: ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური საბავშვო გართობა-თამაშობანი, კრ.: ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964.

ნ. ღოღობერიძე